

მესტიის თეატრი

მესტიის სარაიონო თეატრი დაარსდა 1934 წელს. თავდაპირველად თეატრს დავით კობახიძე ხელმძღვანელობდა, 1937 წლიდან კი სათავეში ვარლამ პეტრეს ძე მარგიანი ჩაუდგა.

1938-40 წწ თეატრში შემდეგი ახალი პიესები დაიდგა: გ. მდივანის „სამშობლო“, ა. ცაგარელის „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“, დ. კლდიაშვილის „გმირთა თაობა“, ა. ფაღავას „ვეფხისტყაოსნის ინსცენირება“ და სხვ.

1941-42 წწ თეატრმა კულტურული მომსახურება გაუწია ზემო სვანეთის რაიონში არსებულ სამხედრო ნაწილებს. 1941 წლიდან 1945 წლამდე სახელმწიფო დაფინანსების მოხსნის მიუხედავად თეატრმა განახორციელა შემდეგი დადგმები: ნახუცრიშვილის „კომბლე“, გ. ტულუშის „საბედისწერო ბილიკი“, ი. ჯავახიშვილის „ნორჩი გმირი“ და სხვ.

სამამულო ომის წლებში თავდადებული მუშაობისათვის თეატრის თანამშრომლები მედლით „კავკასიის დაცვისათვის“ დააჯილდოვეს.

მესტიის თეატრში აღიზარდნენ ადგილობრივი კადრები: პ. დაღვანი, დ. ფილფანი, ნ. ნიგურიანი, გ. ჯაფარიძე, ს. დაღვანი, შ. ხარგიანი და ა. შ.

თეატრის საუკეთესო დადგმებია: პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, ალ. ყაზბეგის „არსენა“, შ. დადიანის „გეგეჭკორი“, „ბატონი და ყმა“, ა. ცაგარელის „ხანუმა“, ე. ნინოშვილის „ქრისტინე“, პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“ და ა.შ

თეატრის შენობა თავიდანვე არ იყო მუშაობის პრინციპზე მორგებული. ტექნიკური გაუმართაობისა და დაფინანსების მოხსნის გამო ზამთრის პირობებში მუშაობა შეუძლებელი გახდა. 1983 წელს მესტიის სამოყვარულო თეატრმა ფუნქციონირება შეწყვიტა.

ისტორიული ცნობები

1. მესტიის თეატრის პასპორტი
1938 წ. 25 ნოემბერი. მესტია. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელით შევსებული. ხელს აწერს თეატრის დირექტორი ვარლამ მარგიანი. მელანი. 4 გვ.
2. ზემო სვანეთის თეატრის დირექტორისა და სამხატვრო ხელმძღვანელ ვარლამ მარგიანის ცნობა ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე პავლე კანდელაკისადმი, 1940 წლის სეზონში დადგმულ პიესებთან დაკავშირებით.
1940 წ. 15 დეკემბერი. მესტია. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.
3. ზემო სვანეთის სახელმწიფო თეატრის 1940 წლის სეზონის ახალი დადგმებსა და აღდგენილ პიესებში დაკავებულ მსახიობთა სია.

- 1940 წ. ხელნაწერი. ხელს აწერს ვარლამ მარგიანი. მელანი.1 გვ.
4. ზემო სვანეთის დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელისა და დირექტორის ვარლამ მარგიანის მიმართვა ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე პავლე კანდელაკისადმი, 1941 წლის რეპერტუარის დამტკიცებასთან დაკავშირებით.
1941 წ. 13 იანვარი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.
 5. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე პავლე კანდელაკის მიერ გაცემული ბრძანება მესტიის თეატრის დირექტორ ვარლამ მარგიანისადმი, 1941 წლის სეზონის რეპერტუარის დამტკიცებასთან დაკავშირებით.
1941 წ. იანვარი. ბლანკი. ნაბეჭდი. 1 გვ.
 6. ზემო სვანეთის საკოლმეურნეო თეატრის მთლიანი საშტატო ერთეულების ჩამონათვალი.
1942 წ. 1 იანვარი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.
 7. ზემო სვანეთის თეატრის დირექტორისა და სამხატვრო ხელმძღვანელის ვარლამ მარგიანის მიმართვა ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროს პ. კანდელაკისადმი, სამამულო ომის დღეებთან დაკავშირებით თეატრის მუშაობის შესახებ.
1942 წ. 8 აპრილი. მესტია. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.
 8. ზემო სვანეთის თეატრის დირექტორ ვარლამ მარგიანის მიმართვა ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროს პ. კანდელაკისადმი, 1942 წლის თეატრის სრული საშტატო ჩამონათვალის გაგზავნასთან დაკავშირებით.
1942 წ. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.
 9. ვარლამ მარგიანის მიერ შედგენილი ზემო სვანეთის სახელმწიფო თეატრის საწარმოო გეგმა.
1942 წ. ავტოგრაფი. მელანი. ფანქარი. 3 გვ.
 10. მესტიის თეატრის დირექტორისა და სამხატვრო ხელმძღვანელის ვარლამ მარგიანის თხოვნა ბილეთების ახალი ფასის დამტკიცებასთან დაკავშირებით.
1943 წ. 11 იანვარი. მესტია. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.
 11. ზემო სვანეთის სარაიონო თეატრის ცნობა ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე პ. კანდელაკისადმი, 1942 წელს თეატრში დადგმულ პიესებთან დაკავშირებით.
1943 წ. 22 თებერვალი. მესტია. ხელნაწერი. ხელს აწერს თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი ვარლამ მარგიანი. მელანი. 1 გვ.
 12. ზემო სვანეთის სარაიონო თეატრის დირექტორ ვარლამ მარგიანის მიმართვა ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე პავლე კანდელაკისადმი, 1943 წლის სეზონის რეპერტუარის დამტკიცებასთან დაკავშირებით.
1943 წ. 23 თებერვალი. მესტია. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

13. ზემო სვანეთის რაიკომის მდივან ს. ჩხეტიანისა და მესტიის თეატრის დირექტორისა და სამხატვრო ხელმძღვანელის ვარლამ მარგიანის მიმართვა სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროს ბ. გოგუასადმი, საჭირო ინვენტარითა და კოსტიუმებით თეატრისათვის დახმარების გაწევასთან დაკავშირებით.
1943 წ. 20 აგვისტო. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელით შევსებული. ხელს აწერს ს. ჩხეტიანი. 1 გვ.
14. მესტიის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელისა და დირექტორის ვარლამ მარგიანის ცნობა ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე პ. კანდელაკისადმი, მესტიის თეატრის მსახიობთა ბრიგადის ზემო სვანეთის რაიონის სასოფლო საბჭოებში გასვლითი სპექტაკლებით გამგზავრებასთან დაკავშირებით.
1944 წ. 11 სექტემბერი. მესტია. ავტოგრაფი. მელანი.
15. მესტიის სახელმწიფო თეატრის დირექტორ ვარლამ მარგიანის მიერ შედგენილი სრული საშტატო პერსონალის სია.
1945 წ. ივლისი. მესტია. ავტოგრაფი. ფანქარი. ბეჭედდასმული. 1 გვ.
16. მესტიის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელისა და დირექტორის ვარლამ მარგიანის მიმართვა ხელოვნების საქმეთა სამმართველოსადმი, შანშიაშვილის დრამის „ხევისბერი გოჩა“ დადგმისა და 1945 წლის სეზონის აღდგენილ პიესებთან დაკავშირებით.
1945 წ. 10 აგვისტო. მესტია. ავტოგრაფი. მელანი. ბეჭედდასმული. 1 გვ.
17. სათეატრო განყოფილების უფროს გ. ბუხნიკაშვილის მიმართვა მესტიის თეატრის დირექტორ ვარლამ მარგიანისადმი, თეატრის მუშაობასთან დაკავშირებული მასალის მიწოდების შესახებ.
1945 წ. 30 ოქტომბერი. ნაბეჭდი. 1 გვ.
18. მესტიის თეატრის დირექტორისა და სამხატვრო ხელმძღვანელის ვარლამ მარგიანის მიმართვა ხელოვნების საქმეთა სამმართველოს სათეატრო განყოფილების უფროს გ. ბუხნიკაშვილისადმი, 1946 წლის სეზონის სამზადისთან დაკავშირებით.
1946 წ. 2 მარტი. მესტია. ხელნაწერი. მელანი. ბეჭედდასმული. 1 გვ.
19. მესტიის სახელმწიფო თეატრის ხელმძღვანელისა და დირექტორის ვარლამ მარგიანის მიმართვა საქართველოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს სათეატრო განყოფილების უფროს გრ. ბუხნიკაშვილისადმი, გ. ნახუცრიშვილის პიესის „კომბლე“ დადგმისა და გაზეთში „ახალი სვანეთი“ მოთავსებული რეცენზიის გაგზავნასთან დაკავშირებით.
1946 წ. 29 მაისი. მესტია. ავტოგრაფი. ბეჭედდასმული. 1 გვ.
20. ზემო სვანეთის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ს. ფარჯიანის მიმართვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროს რ. შადურისადმი, მესტიის სახელმწიფო თეატრის დირექტორ ვარლამ მარგიანისათვის სათანადო წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით.

- 1946 წ. 2 დეკემბერი. მესტია. ნაბეჭდი. ხელს აწერს ს. ფარჯიანი. დაზიანებული. ბეჭედდასმული. 1 გვ.
21. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროს რ. შადურის მიერ გაცემული ბრძანება, აბაშის, ჩახატაურის, მესტიის, ხულოს, წულუკიძის, ხარაგოულის, ყვარელის, წითელწყაროსა და ახუნდოვის თეატრების კულტსაგანმანათლებლო კომიტეტისათვის გადაცემასთან დაკავშირებით.
1946 წ. 31 დეკემბერი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 1 გვ.
 22. ზემო სვანეთის სახელმწიფო თეატრის დარბაზის გეგმა.
უთარილო. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.
 23. მასალები მესტიის სარაიონო თეატრის პასპორტისათვის.
უთარილო. ხელნაწერი. მელანი. 3 გვ.
 24. ზემო სვანეთის თეატრის პასპორტი
უთარილო. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელით შევსებული. მელანი. დაზიანებული. 2 გვ.
 25. ზემო სვანეთის სახელმწიფო თეატრის ბილეთების ფასი.
უთარილო. ხელნაწერი. ხელს აწერს ვარლამ მარგიანი. მელანი. 1 გვ.
 26. საქართველოს სსრ კულტურის მინისტრ ა. გუნიას მიმართვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილისადმი, მესტიის სახელმწიფო თეატრისა და ანსამბლის აღდგენასთან დაკავშირებით.
უთარილო. ნაბეჭდი. 1 გვ.
 27. პავლე კანდელაკისა და ბენაშვილის მიმართვა მესტიის თეატრის დირექტორ ვ. მარგიანისადმი, წარმოდგენილ რეპერტუარში პიესების დამტკიცებასთან დაკავშირებით.
უთარილო. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.
 28. ზემო სვანეთის სახელმწიფო თეატრის დირექტორის ვარლამ მარგიანის მიერ შედგენილი თანამშრომელთა სია.
უთარილო. ხელნაწერი. მელანი. ფანქარი. 1 გვ.
 29. ზემო სვანეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის მოკლე ისტორიული ცნობები.
უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. ხელს აწერს ვ. მარგიანი. 4 გვ.

პროგრამები

30. ზემო სვანეთის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლის პროგრამა, ს. კლდიაშვილის „გმირთა თაობა“.
1938 წ. 26 ივლისი. ნაბეჭდი. სტამბური. 2 ც.
31. ზემო სვანეთის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლის პროგრამა, პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“.
1939 წ. ნაბეჭდი. სტამბური. 2 ც.

32. ზემო სვანეთის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლის პროგრამა, კაჭკაჭიშვილის „პარტიზანები“.
1940 წ. ნაბეჭდი. სტამბური. 3 ც.
33. ზემო სვანეთის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლის პროგრამა, შ. დადიანის „ბატონი და ემა“.
1940 წ. ნაბეჭდი. სტამბური. 3 ც.
34. ზემო სვანეთის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლის პროგრამა, გ. ნახუცრიშვილის „კომბლე“.
1941 წ. ნაბეჭდი. სტამბური. 2 ც.
35. ზემო სვანეთის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლის პროგრამა, ნ. მიქავასა და გ. აბაშიძის „ბედნიერება“.
1941 წ. სტამბური. ნაბეჭდი. 2 ც.
36. მესტიის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლის პროგრამა, გ. ნახუცრიშვილის „კომბლე“.
21 ივნისი. ნაბეჭდი. სტამბური. 1 ც.

დეპეშები

37. მესტიის თეატრის დირექტორისა და სამხატვრო ხელმძღვანელის ვარლამ მარგიანის დეპეშა ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროს რ. შადურისადმი, სპექტაკლის „ხევისბერი გოჩა“ პრემიერის შესახებ.
უთარილო. მესტია. ნაბეჭდი. ხელნაწერი. ხელს აწერს ვარლამ მარგიანი. ბეჭედდასმული. 1 ც.
38. მესტიის თეატრის დირექტორისა და სამხატვრო ხელმძღვანელის ვარლამ მარგიანის დეპეშა ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროს გ. ბუხნიკაშვილისადმი, სპექტაკლის „შესაფერისი ჯილდო“ პრემიერასთან დაკავშირებით.
უთარილო. მესტია. სტამბური. ნაბეჭდი. ხელნაწერი. ხელს აწერს ვარლამ მარგიანი. ბეჭედდასმული. მელანი. ქართულ ენაზე, რუსული შრიფტით, 1 ც.

რეპერტუარი

39. ზემო სვანეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის ახალ დადგმებსა და აღდგენილ პიესებში მსახიობთა გამოყენების სარეპერტუარო მაჩვენებელი.
1938 წ. ხელნაწერი.. ხელს აწერს თეატრის დირექტორი და სამხატვრო ნაწილის გამგე ვარლამ მარგიანი. მელანი. ფანქარი 1 გვ.
40. ზემო სვანეთის სახელმწიფო თეატრის დადგმებისა და აღდგენილი პიესების სარეპერტუარო ჩამონათვალი.
1938-39 წწ. ნაბეჭდი. ხელნაწერი. ხელს აწერს სამხატვრო ნაწილის გამგე ვარლამ მარგიანი. მელანი. 1 გვ.

41. ზემო სვანეთის სახელმწიფო თეატრის დირექტორ ვარლამ მარგიანის მიერ შედგენილი 1939-40 წლების სეზონის საშტატო განრიგი და სარეპერტუარო ჩამონათვალი.
1939-40 წწ. ხელნაწერი. მელანი. ფანქარი. 1 გვ.
42. ზემო სვანეთის სახელმწიფო თეატრის დირექტორ ვარლამ მარგიანის მიერ შედგენილი 1939-40 წწ სეზონის რეპერტუარი.
1939-40 წწ. ხელნაწერი. მელანი. ფანქარი. 1 გვ.
43. ზემო სვანეთის დრამატული თეატრის დირექტორ ვარლამ მარგიანის მიერ შედგენილი 1940 წლის სეზონის რეპერტუარი.
1940 წ. 3 სექტემბერი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.
44. მესტიის საკოლმეურნეო თეატრის დირექტორ ვარლამ მარგიანის მიერ შედგენილი 1941-42 წწ სეზონის საშტატო განრიგი და სარეპერტუარო ჩამონათვალი.
1941-42 წწ. ხელნაწერი. მელანი. ფანქარი. 1 გვ.
45. მესტიის საკოლმეურნეო თეატრის დირექტორ ვარლამ მარგიანის მიერ შედგენილი 1941-42 წწ სეზონის საშტატო განრიგი და სარეპერტუარო ჩამონათვალი.
1942 წ. 1 ივლისი. მესტია. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.
46. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე პ. კანდელაკისა და რეპერტუარისა და სანახაობათა კონტროლის განყოფილების უფროს დ. ბენაშვილის ბრძანება მესტიის თეატრის დირექტორ ვ. მარგიანისადმი, რეპერტუარის დამტკიცებასთან დაკავშირებით.
1941 წ. 30 აგვისტო. ნაბეჭდი. 1 გვ.
47. ზემო სვანეთის სარაიონო თეატრის დირექტორისა და სამხატვრო ხელმძღვანელის ვარლამ მარგიანის მიმართვა ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე პ. კანდელაკისადმი, რეპერტუარის დამტკიცებასთან დაკავშირებით.
(მეორე გვერდზე ჩამოთვლილია რეპერტუარში დამტკიცებული პიესები)
1942 წ. 1 სექტემბერი. მესტია. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.
48. სასკომსაბჭოსათან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მიერ გაცემული ბრძანება 1943 წლის რეპერტუარში დამტკიცებულ პიესებთან დაკავშირებით.
1943 წ. 24 თებერვალი. ნაბეჭდი. ასლი. 1 გვ.
49. მესტიის სარაიონო თეატრის დირექტორისა და სამხატვრო ხელმძღვანელის ვარლამ მარგიანის მიერ შედგენილი ახალ და აღდგენილ პიესებში მონაწილე მსახიობთა როლების ჩამონათვალი.
1943 წ. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

50. მესტიის სარაიონო თეატრის დირექტორ ვარლამ მარგიანის მიერ შედგენილი ახალი დადგმების სარეპერტუარო მანუშენი.
1943 წ. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.
51. სსსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მიერ გაცემული ბრძანება, მესტიის თეატრის დირექტორ ვ. მარგიანისადმი, რეპერტუარში დამტკიცებულ პიესებთან დაკავშირებით.
უთარიდო. ბლანკი. ნაბეჭდი. 1 გვ.
52. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მიერ გაცემული ბრძანება მესტიის თეატრის დირექტორ ვ. მარგიანისა და მთავლიტის რწმუნებულ პ. ჯაჯვანისადმი, 1942 წლის პირველი ნახევრის რეპერტუარის დამტკიცებასთან დაკავშირებით.
უთარიდო. ნაბეჭდი. ასლი. 1 გვ.